

ინტერნეტის კონტროლისთვის ამუშავდა

ხარისხის ვებგვერდი



კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით, ინტერნეტის ხარისხის კონტროლის მექანიზმი აამუშავა.

კომუნიკაციების კომისიის ინფორმაციით, ვისაც უჭირს ფიდრების ყურება და გადმოწერა, ონლაინ თამაში და უკმაყოფილოა ინტერნეტის ხარისხით, ეს ვებგვერდი www.sheamotsme.ge სწორედ მათთვისაა.

„აღნიშნული ვებპორტალში უკვე დღეიდან ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, გაზომოს ფიქსირებული ინტერნეტის სიჩქარე და ხარისხი, შეამოწმოს რამდენად შეესაბამება მიწოდებული ინტერნეტის ხარისხი მასსა და პროვაიდერ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებით გათვარისწინებულ პირობებს. ინტერნეტის ხარისხის კონტროლის მექანიზმი, როგორც მომხმარებელს, ასევე კომუნიკაციების კომისიას საშუალებას აძლევს 24-საათიან რეჟიმში დააკვირდეს, რამდენად იცავენ კომპანიები აბონენტების წინაშე აღებულ ვარდებულებებს. დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, ხარისხიანი ინტერნეტ მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, კომისია ინტერნეტის მიმწოდებელი კომპანიების მიმართ კანონით გათვარისწინებულ ზომებს გაატარებს“, – აცხადებენ კომუნიკაციების კომისიაში.

უწყების ცნობით, ინტერნეტის ხარისხის შესამოწმებლად საჭიროა:

- შეხვიდეთ ვებ-გვერდზე www.sheamotsme.ge;
- შემოწმების დაწყებამდე ყურადღებით გაეცნოთ ინსტრუქციას;
- მოწყობილობა, რომლითაც ხარისხს ზომავთ, ინტერნეტის ქსელში შეაერთოთ სადენის (კაბელის) და არა, Wifi-ის საშუალებით;
- შემოწმების დაწყებისა და მიმდინარეობის პროცესში, ოპერაციულ სისტემაში არც ერთი სხვა აპლიკაცია არ გახსნათ;
- მითითებულ ვერსიი აუცილებლად შეიცვანოთ თქვენი და თქვენი ინტერნეტ პროვაიდერის ზუსტი მონაცემები;
- გაზომვის დროს ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში, სისტემა მოგცემთ საშუალებას ავტომატურ რეჟიმში შეავსოთ საჩივრის ფორმა და გამოაგზავნოთ კომუნიკაციების კომისიაში;
- იმისთვის, რომ თქვენი საჩივარი არ დახარვეზდეს, აუცილებელია მაქსიმალური სიზუსტით დაიცვათ ინსტრუქცია;
- წესების დაცვა ზუსტი მონაცემების მისაღებადაა აუცილებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი საჩივარი გაუქმდება.

„იმისთვის, რომ ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე არსებული მდგომარეობა გაუმჭობესდეს და ინტერნეტის ხარისხი და სიჩქარე მომხმარებლის მიერ გადახდილი ფასის ადეკვატური იყოს, კომუნიკაციების კომისიამ ერთი წლის განმავლობაში აქტიური სამუშაოები ჩაატარა. კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლითაც ინტერნეტმომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლები განისაზღვრა და მათი შემოწმების მეთოდოლოგიური წესები დადგინდა. ინტერნეტმომსახურების მიწოდების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიებს ახალი ვარდებულებები დაეკისრათ, რომელიც აბონენტებთან დადებული ხელშეკრულებების დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანას ითვალისწინებდა.

შემოწმების საიმედოობისა და სიზუსტის მიზნით, კომისია ამერიკულ კომპანია „ვიზუალვართან“ (Visualware) თანამშრომლობს. ინტერნეტმომსახურების ხარისხი იზომება სწორედ მათი აპარატურით, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთდროულად გავზომოთ ფიქსირებული ინტერნეტის ხუთი პარამეტრი: ჩამოტვირთვის სიჩქარე, ატვირთვის სიჩქარე, დაკარგული პაკეტები, ჯიტერი და დაყოვნება.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის მომხმარებლების უფლებების დაცვა ყველაზე პრიორიტეტული საკითხია და სწორედ ამიტომ, თქვენ დღეიდან www.sheamotsme.ge-ს საშუალებით მუდმივ რეჟიმში

შეგვიძრებათ შეამოწმოთ ინტერნეტის ხარისხი და სირიქარე, იმ შემთხვევაში, თუ პროვაიდერი კომპანია ხერშეკრუდების პირობებს არ იცავს გამთავზავნოთ სარივარი კომისიაში, რომედიც კანონით მინიჭებული უფრებამოსიღების ფარგლებში იმოქმედებს და პრობდემის მოგვარებაში დაგეხმარებათ“, – აცხადებენ კომუნიკაციების კომისიაში.